№33(34) 23.08.1991

სპორტიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

პიველი გოგოების ფავორიტი

შეელევა ახრიკ ცვეიბა უკრაინელ ლამაზმანებს?

მე-5 გვერდი

შუბმა უნდა იფრინოს, მაგრამ...

იააფ-ი ფიქრობს, სად ჩაატაროს შუბის მტყორცნელთა შეჯიბრება

მე-6 გვერდი

იყიდება ჩემპიონი

გადავა თუ არა აირტონ სენა „უილიამს-რენოში“

მე-8 გვერდი



ვარსკვლავთცვენა „ოქროს ტბაზე“

წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც ოთხი დღის მანძილზე მასპინძლობდა ფოთი, ისტორიის კუთვნილებად იქცა. კონტინენტის უძლიერეს სპორტსმენთა თანავარსკვლავეთში უდავოდ გამოირჩეოდნენ ვეფთა მრავალჭიდში გამარჯვებული იტალიელი ანდრეა ალესი და ავსტრიელი ბრიტა გრებე — „მის ჩემპიონატი“, რომელიც უძლიერესი იყო ტრამპლინიდან ხტომაში.



„ეს იყო ულამაზესი ზეიმი, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა ჩვენი სპორტის ისტორიაში. ბრწყინვალე ბაზა, უამრავი მაყურებელი და საოცრად საინტერესო სპორტული პაექრობა: ამან უსაზღვრო შთაბეჭდილება დატოვა ჩამპიონატის ყველა მონაწილეზე“, — ასე გამოხატა თავისი შეხედულება წყალსათხილამურო სპორტის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა ინგლისელმა ობრი შინამ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. და ამას არ შეიძლება არ დაეთანხმო — ოთხი დღის განმავლობაში მაყურებლები მოწმენი გახდნენ მომხიბლავი სპორტული სპექტაკლისა, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებდნენ ევროპის საუკეთესო წყალმოთხილამურეები. მართალია ფოთში სხვადასხვა მიზეზის გამო არ ჩამოვიდნენ მსოფლიოში აღიარებული ოსტატები პლანეტის ჩემპიონები ინგლისელი ენდრიუ მეპლი და ფრანგი პატრიკ მარტენი, რომლებსაც სექტემბრის დასაწყისში ავსტრიის ქალაქ ვილაგაში მოუწევთ მაღალი ტიტულის დაცვა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ გარემოებამ დიდად ვერ გააღარიბა ფოთის ჩემპიონატი.

„ოქროს ტბაზე“ გათამაშებული პირველი ოქროს მედლის მფლობელი გახდა ევროპის შარშანდელი ჩემპიონი მრავალჭიდში 31 წლის ინგლისელი ფილიპა რობერტსი, რომელმაც გაიმარჯვა სლალომში. ამ სახეობაში იმარჯვებს ის სპორტსმენი, რომელიც რაც შეიძლება მოკლე გვარლით გაივლის მეტ ტივტივას. ქალები როგორც წესი იწყებენ შეჯიბრებას 18 ან 16 მეტრიანი გვარილით და თანდათან ამოკლებენ მის სიგრძეს. პირველი 12-მეტრიან გვარლზე მოსკოველი ოლგა გუბარენკო გადავიდა. მან დასძლია ერთი ტივტივა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ინარჩუნებდა ლიდერობას, რომელიც მას რობერტსმა ჩამოართვა. ფილიპამ გვერდი აუარა ორ ტივტივას... და პირველი ადგილი დაიკავა.

ფინალური შეჯიბრება ფიგურულ სრიალში მამაკაცებს შორის ძლიერი წვიმის გამო რამდენჯერმე შეწყვიტეს. ასეთ რთულ პირობებში ყველაზე მეტი სიმტკიცე და ნებისყოფა გამოავლინა 19 წლის ფრანგმა სპორტსმენმა ნიკოლა ლე ფორესტიერმა. მან პირველად მოიპოვა ევროპული ჯილდო, და თანაც ოქრო.

ქალთა ფინალური ტურნირი ტრამპლინიდან ხტომაში გახსნა ხათუნა კორკელიამ. წინასწარ შეჯიბრებაში მან აჩვენა მესამე შედეგი — 38,5 მეტრი და მაყუებლებს იმედი ჰქონდათ რომ ფინალში იგი უფრო კარგად გამოვიდოდა. მით უმეტეს, რომ იგი გუბარენკოსთან ერთად საკავშირო რეკორდის თანაავტორია — 40,1. მაგრამ ამჯერად ხათუნამ მხოლოდ 36,6 მეტრი დასძლია და მეხუთე შედეგით დაამთავრა ასპარეზობა. ჩემპიონის წოდება კი ზედიზედ მეორედ მოიპოვა ავსტრიელმა ბრიტა გრებემ — 39,5. სხვათა შორის მან გაიმარჯვა კიდევ ერთ კონკურსში: მაყურებელმა მას მიანიჭეს არანაკლებ საპატიო წოდება „მის ევროპის ჩემპიონატი-91“.

ძალზე დრამატულად მიმდინარეობდა მამაკაცების ასპარეზობა სლალომში. პირველი 11-მეტრიან გვარლით გამოვიდა ფრანგი პიერ კარმენი. მან გაიარა 3,5 ტივტივა. შემდეგ ეს შედეგი გააუმჯობესა ევროპის ჩემპიონმა ინგლისელმა ჯონ ბათლდეიმ — 4 ტივტივა. იგივე შესძლო მარკო ბეტოსინიმ შვეიცარიიდან და ამ ორ უკანასკნელს შორის დაინიშნა დამატებითი სერია. 12-მეტრიანი გვარლით მათ დასძლიეს ყველა 6 ტივტივა. შემდეგ გვარლის სიგრძე ერთი მეტრით შემცირდა. ბათლდეიმ კვლავ 4 ტივტივა გაიარა და მეორედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ბეტოსინიმ დასძლია მხოლოდ სამი ტივტივა.

ინდივიდუალურ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენებმა მხოლოდ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს. ფიგურულ სრიალში პირველ ადგილზე გავიდა მინსკელი ოლგა პავლოვა — 7030 ქულა. ფინალში მეოთხე შედეგი აჩვენა ფოთელმა ნატალია სოროკინამ — 588,5.

ჩემპიონატის კულმინაციად იქცა მამაკაცთა ასპარეზობა ტრამპლინიდან ხტომებში. ეს ყველაზე ლამაზი სახეობა ორგანიზატორებმა „დესერტად“ შემოინახეს. და მართლაც, მაყურებლებმა უდიდესი სიამოვნება მიიღეს. 1 მეტრი და 80 სმ სიმაღლის ტრამპლინიდან ხტომები გახსნა გენადი გურალიამ, რომელმაც წინასწარ შეჯიბრებაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 50,4 მეტრი. სამწუხაროდ ამჯერად მას ხტომები არ გამოუვიდა. პირველ ცდაზე იგი საკმაოდ შორს გადახტა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და დაეცა. მეორე ცდის დროს ხელიდან გაუსხლტა გვარლი, მესამე შემთხვევაში მისმა ნახტომმა მხოლოდ 49,7 მეტრს მიაღწია. ეს მეექვსე შედეგი გახლავთ. პირველმა განაცხადი გამარჯვებაზე გააკეთა ფრანგმა კლოდ პერესმა — 54,1 მეტრი მესამე ცდაში. ეს შედეგი ჯერ ავსტრიელმა დანიელ დობრინგერმა გააუმჯობესა — 56,0, შემდეგ კი იტალიელმა ანდრეა ალესიმ აჯობა ყველას — 57,2. „ოქროს ტაზე“ ასე შორს არავინ „გაფრენილა“.

მრავალჭიდში ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ანდრეა ალესიმი (2270,5 ქულა) და ოლგა პავლოვამ (2084,9). კორკელიამ მეცხრე შედეგი აჩვენა (1720,8), გურალიამ — მეცამეტე (1665,0). გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა სსრკ-ის ნაკრებმა.

— მე თამამად შემიძლია განვაცხადო — ფოთის ჩემპიონატი ჩვენი სპორტის ისტორიაში დაიკავებს ერთ-ერთ საპატიო ადგილს. როგორც მისი ორგანიზაცია, ისევე სპორტული შედეგები პასუხობს მაღალ სტანდარტებს. იმედი მაქვს რომ ევროპელები კარგ გუნებაზე გავმგზავრებიან მსოფლიო ჩემპიონატზე და იქაც ღირსეულად დაიცავენ ჩვენი კონტინენტის ღირსებას, — ხაზი გაუსვა ობრი შინამ. (იხილეთ მე-2-მე-4 გვერდები).



მიჰაელ ვინეროიტერი (ავსტრია)

ნიალზე



ნიკოლა ლე ფორესტიერი (საფრანგეთი)

Poti
ფოთი 91



მარკო ბეტოსინი (შვეიცარია)

„ᲛᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

რა უფრო მნიშვნელოვანია ქალისათვის: ჩემპიონის ოქროს მედალი თუ „მის ჩემპიონატის“ პრიზი? ავსტრიელი ბრიტა გრებე არჩევანის წინაშე არ დამდგარა — პირველი ადგილიც დაიკავა და ჩემპიონატის ყველაზე მომხიბლავი მონაწილის პრიზიც მიიღო.

ბრიტა გრებე თავიდან მოექცა მაყურებელთა ყურადღების ცენტრში. ცხადია, ჟურნალისტებიც არ აძლევდნენ მოსვენებას. ჩვენ ორჯერ მოგვეცა მასთან გასაუბრების შესაძლებლობა — ჩემპიონატის დაწყებამდე და ფინიშის შემდეგ. ტრამპლინიდან ხტომაში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ოპტიმისტურად იყო განწყობილი: „აუცილებლად ჩემპიონი უნდა გავხდე. კარგ სპორტულ ფორმაში ვარ და ეს მაძლევს უფლებას, ასე თამამად ვილაპარაკო“.

— რომელი სახეობაა თქვენთვის ყველაზე ილბლიანი?

— რა თქმა უნდა, ტრამპლინი. ბოლო დროს ყველაზე დიდ წარმატებას სწორედ ტრამპლინიდან ხტომაში მივაღწიე.

— თქვენ ხშირად გამოდიხართ საერთაშორისო შეჯიბრებებში. როგორ შეაფასებდით ფოთის ჩემპიონატის ორგანიზაციულ მხარეს?

— აშკარაა, რომ დიდი შრომაა გაწეული. მე და ჩემი თანაგუნდელები აქ მშვენივრად ვგრძნობთ თავს. „ოქროს ტბა“ აშკარად ამართლებს თავის სახელს, ტექნიკაც ჩინებულია. ერთი სიტყვით, მასპინძლები მადლობას იმსახურებენ.

ჩვენი საუბარი აქ შეწყდა. ბრიტას სტარტზე უხმეს. ორი დღის შემდეგ, როცა ტრამპლინიდან მხტომელ ქალებს აჯილდოვებდნენ, ბრიტა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა.

— ხომ გითხარით ჩემპიონი გავხდები მეთქი, — სიხარულს ვერ მალავდა სპორტსმენი, — მადლობა მაყურებლებს, რომლებიც მხარს მიჭერდნენ მთელი შეჯიბრების მანძილზე. დღეს ყველაზე ბედნიერი ვარ.

ბრიტა გრებე (ავსტრია)

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲓᲚᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ

როგორც კი გამოცხადდა ფიგურულ სრიალში საბოლოო შედეგები, ფრანგი ნიკოლა ლე ფორესტიერი ამხანაგთა გარემოცვაში აღმოჩნდა. 19 წლის ნანტელი ვერ მალავდა თავის სიხარულს — მან პირველად მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის ტიტული. რამდენიმე წუთის შემდეგ სპორტსმენს მიუახლოვდა მკვრივი აღნაგობის თმაჭაღარა მამაკაცი და გულში ჩაიკრა გამარჯვებული.

— ჩემი ოქროს მედალი თანაბრად ეკუთვნის მამაჩემს კლოდ ლე ფორესტიერს, — თქვა ნიკოლამ. — იგი მხოლოდ ჩემი მწვრთნელი როდია, მამას ჩვენი სპორტის სამყაროში კარგად იცნობენ როგორც კატარღის პილოტს. და აქ, ფოთშიც, ემსახურებოდა ფიგურისტების შეჯიბრებას. ასე რომ „ოქროსკენ“ ჩვენ ერთად მივიწევდით.

ნიკოლამ აქვე დაამატა, რომ ფოთში იმყოფება მისი დედა — მარია, იგი სპეციალობით ისტორიკოსია, აქვს სორბონას უნივერსიტეტის დიპლომი და ახლა დიდადაა დაინტერესებული საქართველოს ისტორიით.

— ჩემი გამოსვლით უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ. მართალი გითხრათ არ მეგონა თუ მოვიგებდი. ჩვენი გუნდის ლიდერი პატრიკ მარტენი რომ ჩამოსულიყო, იგი პირველობას არავის დაუთმობდა. ახლა ის ფილადელფიაშია და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება.

— შენ რა იმედით მიდიხარ ავსტრიაში?

— პირველობისა რა მოგახსენოთ, ისე კი იმედი მაქვს, რომ ერთ-ერთ საპრიზო ადგილს დავიკავებ. აქ, ფოთში ვირწმუნე საკუთარი ძალები.

— ესე იგი, ტყუილად არ გამოგივლია ამხელა გზა.

— აქ მართლაც რომ საოცარი პირობებია ჩვენი სპორტის სახეობის განვითარებისთვის. მაგრამ საყოფაცხოვრებო პირობები უნდა გაუმჯობესდეს, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გამოსასწორებელი. მაგრამ თუ მკითხავთ, მე მზად ვარ ჩამოვიდე ფოთში ნებისმიერ შეჯიბრებაზე. ამ ლამაზ მხარეს, კეთილმოსურნე ხალხს აბა რა დამავიწყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთი 91

ᲡᲐᲠᲒᲘ

Poti
ფოთი 91

ჯეორგ ჯაიკი (ლუქსემბურგი)

ოლგა გუბარენკო (სსრკ)



პიერ-კარმენი (საფრანგეთი)

ფოთიდან მასალები მოგვაწოდეს „სარბიელის“ სპეციალურმა კორესპონდენტებმა: ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔᲛ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲨᲐᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.
ფოტორეპორტაჟი მოამზადა ᲑᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔᲛ.

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ოლგა პავლოვა (მარცხნივ) და ნატალია ივანოვა (სსრკ)

მარინა მოსტი (იტალია)

ფოთი 91

ᲮᲔᲚᲕᲝᲗᲘᲡᲘ



ვალერი ბედონი (შვეიცარია)

ᩮᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘ!



ანდრეა ალესი

ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲐᲚᲔᲡᲘ ᩮᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲢᲘᲢᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲜ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲰᲘᲜᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ, ᲘᲡᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ. ᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ 1989 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲐᲘᲐᲛᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ ᲕᲔᲠᲪᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲑᲢᲝᲛᲐᲨᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲢᲣᲚᲣᲨᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ ᲑᲢᲝᲛᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲘᲓᲨᲘ „ᲝᲭᲠᲝ“ ᲛᲝᲛᲝᲰᲕᲐ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲘᲓᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ. ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲢᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲒᲐᲔᲖᲘᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲑᲘᲯᲔᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ.

— ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲐ. ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲘᲗ. ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲛ ᲬᲣᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲕᲘᲛᲐ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲘᲕᲚᲝᲡ.

— თქვენ ფავორიტი ხართ. შეჯიბრების დროს ეს ხელს გიშლით, თუ გეხმარებათ?

— ფავორიტობა ჩემთვის ერთგვარ ფსიქოლოგიურ უპირატესობას ნიშნავს, ასეთ კარგ სტარტს მაინც არ მოველოდი, რადგან ფეხი მაქვს ნატკენი. მაგალითად, ფიგურებში საერთოდ არ მივარჯიშია და მაინც ფინალში მოვხვდი. ჩემთვის მთავარია მრავალჯიდში გავიმარჯვო. რაც შეეხება ცალკეულ სახეობებს, ჩემპიონი უნდა გავხდე ტრამპლინში. აქ ტრავმაც ვერ შემშლის ხელს.

— ვინ მიგაჩნიათ მთავარ კონკურენტებად?

— სლალომში ძალიან ძლიერია ინგლისელი ჯონ ბატლდეი — მან ევროპის ᲑᲝᲚᲝ ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ. ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲛᲔᲜᲘᲪ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲒᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲘᲪᲐ ᲢᲠᲐᲡᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲣᲛᲔᲓᲚᲝᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ. ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲛᲔᲓᲘᲐᲛ ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲓᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲮᲚᲘ ᲛᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲣᲚᲐᲓ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲮᲓᲔᲗ.

ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲐᲚᲔᲡᲘᲛᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲚᲐᲓ, ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲗ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲑᲢᲝᲛᲐᲨᲘ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲘᲓᲨᲘᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲕᲮᲕᲓᲘ. ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲘᲓᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲝ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲡ, ᲩᲔᲛᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲮᲓᲔ ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲘᲨᲘ. ᲐᲥ ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲛᲨᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲡ.

— ვინ მიგაჩნიათ მთავარ კონკურენტებად?

— ᲡᲚᲐᲚᲝᲛᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲯᲝᲜ ᲑᲐᲢᲚᲓᲔᲘ — ᲛᲐᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ. ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲛᲔᲜᲘᲪ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲒᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲘᲪᲐ ᲢᲠᲐᲡᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲣᲛᲔᲓᲚᲝᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ. ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲛᲔᲓᲘᲐᲛ ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲓᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲮᲚᲘ ᲛᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲣᲚᲐᲓ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲮᲓᲔᲗ.

ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲐᲚᲔᲡᲘᲛᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲚᲐᲓ, ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲗ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲑᲢᲝᲛᲐᲨᲘ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲘᲓᲨᲘᲪ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲐ.



რომან მელია

„ᲛᲔᲯᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ“

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲣᲪᲚᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛᲐᲜ ᲛᲔᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲓᲐᲗᲥᲛᲣᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲯᲘᲓᲠᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲓᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲪᲘᲜᲐ. ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲐᲚᲣᲠ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ, ᲖᲔᲓ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲜ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲐᲚᲘ ᲓᲐᲙᲝᲕᲐ.

— 13 ᲓᲐ 14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ, ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲐ, ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲞᲘᲠᲗᲐ, ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ, ᲛᲮᲐᲯᲗᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲝ ᲪᲘᲔᲑᲪᲮᲚᲔᲚᲑᲐᲛ ᲬᲔᲜᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲐ, — ᲗᲥᲕᲐ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲛᲔᲚᲘᲐ, — ᲘᲡᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲘᲗᲮᲘᲡ (ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ, ᲡᲐᲛᲨᲕᲜᲔᲑᲚᲝ, ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ) ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐ ᲛᲔ ᲛᲝᲛᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲒᲐᲛᲘᲒᲔᲑᲗ, ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲕᲩᲜᲓᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜ ᲘᲧᲝ, ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲪᲚᲝ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲚᲘᲗ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲩᲐᲘᲒᲚᲝᲡᲜᲓᲜᲔᲚ.

— ᲛᲔ ᲐᲡᲔ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝ: ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲗᲐ ᲨᲔᲯᲔᲒᲔᲑᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲘᲯᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲓᲐ. ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲕᲘᲠᲘ. ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲖᲘᲗᲘᲗ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲗᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲓᲒᲐᲛᲡ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲘᲗᲘᲗᲐᲜᲐᲠᲓᲘᲗ, ᲔᲡ ᲒᲣᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲚᲘᲪ ᲘᲧᲝᲜᲓᲐ. ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲧᲘᲠᲘᲡᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲪᲕᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲗᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲓᲒᲐᲛᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲛᲔᲚᲘᲐᲛ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲣᲬᲧᲣᲐ ᲗᲣ ᲙᲘᲠᲩᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲑᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲛᲬᲧᲝᲡᲗᲐᲛᲯᲦᲝᲛᲐᲠᲔ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲐᲤᲐᲜᲐᲡᲘᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲐᲣᲚᲘᲔᲕᲘ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲛᲯᲦᲝᲛᲐᲠᲔ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲐᲤᲐᲜᲐᲡᲘᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲐᲣᲚᲘᲔᲕᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲐᲠᲔ ᲘᲧᲝ. ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲑᲛᲔᲑᲝᲓᲜᲜᲔᲚ.

— ᲛᲔ ᲐᲡᲔ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝ: ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲗᲐ ᲨᲔᲯᲔᲒᲔᲑᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲘᲯᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲓᲐ. ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲧᲘᲠᲘᲡᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲪᲕᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲗᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲓᲒᲐᲛᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲛᲔᲚᲘᲐᲛ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲣᲬᲧᲣᲐ ᲗᲣ ᲙᲘᲠᲩᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲛᲯᲦᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲐᲤᲐᲜᲐᲡᲘᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲐᲣᲚᲘᲔᲕᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲐᲠᲔ ᲘᲧᲝ. ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲑᲛᲔᲑᲝᲓᲜᲜᲔᲚ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲤᲘᲚᲘᲞᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘᲡᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚ

გია ალალაძის ფოტო

უიზილაშვილისა და მეკარე ქანთარიას ორთაბრძოლა.

ერთი ტაიმი გაძლეს

იბერია: ჩხეიძე, არზიანი, ქველაძე, შელია, ჯიშკარიანი, რევაზიშვილი (ა. არველაძე 75წთ), ტყებუჩავა, ცომაია, კაჭარავა (ინალიშვილი 46წთ), უაველაშვილი, შ. არველაძე

ბურია: ქანთარია, ჩხაიძე, გუჯაბიძე, ნემსაძე, კაბისაშვილი, გოგიჩაიშვილი, მიქაბერიძე, აფციაური, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრეღლიძე.

მსაჯები: კვარაცხელია, კალანდია, გვაზავა.

გაფრთხილება: კორღალიძე (36წთ).

გოლები: არველაძე (50წთ), უაველაშვილი (60წთ), რევაზიშვილი 64წთ, კორღალიძე (69წთ), ინალიშვილი (70წთ), ფრიდონაშვილი (81წთ).

ქართული ფეხბურთის ორი წამყვანი გუნდის შეხვედრამ თბილისში გულშემატკივართა ინტერესი გამოიწვია. მიუხედავად მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა სტადიონზე დაახლოებით იმდენი ხალხი მივიდა, ამ ათი წლის წინ „დინამოს“ დუბლშემადგენლობის შეხვედრებზე, რომ დადიოდა. ეს, თუკი საგაზაფხულო ჩემპიონატის დასწრებას გავიხსენებთ, ცოტა არ არის. როგორც მოსალოდნელი იყო „გურიამ“ თბილისელებს ბურთისთვის აქტიური ბრძოლა შესთავაზა. თუმცა იმთავითვე იგრძნობოდა, რომ ეს ის თამაში არ იყო კაცს ამოსუნთქვის საშუალებას რომ არ აძლევს. და მაინც, პირველ ტაიმში ლანჩხუთელთა ტაქტიკამ გაამართლა. თამაში თანაბარ ტემპში მიმდინარეობდა, შეტევის ბოლო ფაზაშიც კი გუნდები ტემპს არ (თუ ვერ?) უმატებდნენ. სახიფათო მომენტებიც აქა-იქ იქნებოდა მეტოქეთა კართან. საბოლოოდ შეხვედრის პირველი ნახევარი უგოლოდ დამთავრდა.

სწვაგვარად წარიმართა მეორე ტაიმი, რომლის პირველივე წუთებიდან გამოჩნდა, რომ "გურია" ფიზიკურად სუსტად არის მომზადებული. ამან თბილისელებს ხელ-ფეხი გაუხსნა და 50-ე წუთზე ინალიშვილის ეფექტური გარღვევის შემდეგ შოთა არველაძემ ანგარიში გახსნა. გამოჩნდა „გურიის“ კიდევ ერთი სუსტი მხარე — დაცვის მარცხენა ფრთა. „იბერიის“ ფეხბურთელები ამ ფრთიდან პრაქტიკულად დაუბრკოლებლად შედიოდნენ სტუმართა საჯარიმოში. 60-ე წუთი თანაგუნდელებს ყაველაშვილი „რბილი“ პასით გაჰყავთ მეკარესთან პირისპირ — 2:0. 62-ე წუთი, ჯიშკარიანის ლამაზი დრიბლინგი და ინალიშვილის დარტყმა, რომელიც ცდება ლანჩხუთელთა კარს. 64-ე წუთი, რევაზიშვილი მარჯვნიდან შედის საჯარიმოში და ზუსტად ურტყამს. 3:0 — ოთხი წუთის შემდეგ თბილისელები საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაშობენ. თერთმეტმეტრიანს ზუსტად ასრულებს გასული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ოთარ კორღალიძე, ერთი წუთის შემდეგ კი „იბერიელთა“ სწრაფი ლამაზი, მრავალსვლიანი კომბინაცია ინალიშვილის გოლით მთავრდება. საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე ლანჩხუთელ ფრიდონაშვილს მატჩის უკანასკნელი გოლი გააქვს. სასიამოვნოა, რომ მეორე ტაიმში ორივე გუნდის ცალკეულმა ფეხბურთელმა ეპიზოდურად ისეთი ილეთები შეასრულეს, კაცს რომ ათქმევინებს, ქართული ფეხბურთის სანახაობრივი მხარე ჯერ კიდევ ცოცხლობსო.

მატჩის შემდეგ, აზრის გაზიარება ვთხოვეთ კლუბების მიერ „ერთმანეთში გაცვლილ“ ფეხბურთელებს გოჩა ტყებუჩავას და კახა გოგიჩაიშვილს.

გოჩა ტყებუჩავა („იბერია“): ჩემის აზრით ფეხბურთში მთავარია ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება. სწორედ ამ ორი კომპონენტით ვაჯობეთ დღეს მეტოქეს, რომელმაც პირველ ტაიმში ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ მეორეში დაიღალა. საკუთრივ ჩემს თამაშს საუკეთესოს ვერ ვუწოდებ. ჩემი ყოფილი თანაგუნდელები მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან და ვთვლი, რომ მათ გაცილებით უკეთ შეუძლიათ თამაში.

კახა გოგიჩაიშვილი („გურია“): პირველი ტაიმი კარგი იყო, მეორეში კი გოლი გავუშვით და ყველაფერი აირია. ჩემი თამაშითაც უკმაყოფილო ვარ.

ილია ბაბუნაშვილი.

ცვლილებები უმაღლესი ჯგუფის გუნდებში

(მოყვანილია მხოლოდ უმაღლესი ჯგუფის გუნდებიდან გადასული ფეხბურთელები)

„ბათუმი“ — პაატა მაჭუტაძე გადავიდა „მერცხალიდან“.
„დილა“ — გიორგი მჭედლიშვილი („ბათუმი“).
„მარგვეთი“ — ხვიჩა გაგნიძე („დილა“), იოსებ ნასუაშვილი („ბათუმი“), თეიმურაზ ფაიქიძე („ჭუთაისი“), მამუკა მაჭავარიანი („იბერია“).
„კოლხეთი-13“ — ოური სიჭინავა („სამგურალი“).
„მრეტები“ — ზვიად პაპიძე („დილა“).
„ბურია“ — კახა გოგიჩაიშვილი („იბერია“), გიორგი ნემსაძე („იბერია“), მერაბ თევზაძე („ოდიში“).
„ჭუთაისი“ — ირაკლი ზოიძე („მერცხალი“), თამაზ კიკალეიშვილი („ბათუმი“), ემზარ ხურცილავა („სულორი“), გოჩა ბრეგვაძე („სულორი“), ნოდარ ჭელიძე („სამგურალი“).
„გორდა“ — ზაზა ბაკურიძე („შევარდენი-06“).
„კოლხეთი“ — გიორგი ვაშაკიძე „სამტრედია“.
„იბერია“ — დიმიტრი კუდინოვი („გორდა“), გოჩა ტყებ[illegible] („გურია“), დავით ცომაია („გურია“).
„სულორი“ — ალექსანდრე დვალიშვილი („ჭუთაისი“).
„ამირანი“ — გიორგი ბაბუაძე („კოლხეთი“).



ალბერტ ალავერდიანის ფოტო

ალბერიკ ცვეიბა

ცვეიბა: „იბერიას“ დღესაც ძმობლიურ კლუბად ვთვლი

–ვერაფრით ვერ შევეჩვიე მის ახალ კიევის „დინამოს“ ფორმას. მახსოვს, როგორ უჭირდა კლუბის გამოცვლის გადაწყვეტილების მიღება, რა დიდხანს ფიქრობდა. მაგრამ, მას შემდეგ მხოლოდ წელიწადნახევარი გავიდა, ალბერიკ ცვეიბა კი მთავარ როლში მოგვევლინა კიევის „დინამოშიც“ და საბჭოთა ნაკრებშიც.

ცნობილია, რომ მასალის მოსამზადებლად ჟურნალისტს ინფორმაციის საბაბი სჭირდება. ამჯერად, კიევში დასარეკად უბრალო ინტერესი ვიკმარე: „როგორ ცხოვრობს, როგორ თამაშობს ალბერიკ ცვეიბა მშობლიურ გარემოს მოცილებული“.

— გმადლობთ, რომ არ მივიწყებთ. საქართველოდან მიღებული ყოველი მოკითხვა ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის.

— რატომ, ეს ძალიან იშვიათად ხდება?

— არა, როგორ გეკადრებთ. „იბერიის“ მოთამაშეებთან, რომელსაც დღესაც მშობლიურ კლუბად ვთვლი, მეგობრული ურთიერთობა მოკავშირებს. ხშირად ვესაუბრები ტელეფონით კაჭარავას, გოგიჩაიშვილს, ქეცბაიას. მშვენივრად ვიცი რით სუნთქავს დღეს ქართული ფეხბურთი.

— ალბერიკ, ქართულ ფეხბურთს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. ჯერ კი სხვა რამ მაინტერესებს: კმაყოფილი ხართ თქვენი თამაშით, მდგომარეობით გუნდში, თავად გუნდის მდგომარეობით? და კიდევ ერთი რამ: ფეხბურთელის ცხოვრების ძირითადი დრო დაუსრულებელ გადაფრენ-გადმოფრენებში, შეკრებებში, ვარჯიშში გადის. რაოდენ სანატრელი **გექნებათ ოჯახური სიმყუდროვე, თქვენ კი კიევში სასტუმროში ცხოვრობთ...**

— ეს მხოლოდ დროის საქმეა, ბინას უახლოეს მომავალში მპირდებიან. ბინა, მანქანა, პონორარები — მთავარი ეს ზომ არ არის. თუმცა, ჩემი მატერიალური მდგომარეობითაც კმაყოფილი ვარ და „მერსედესითაც“. მთავარი კი იცით რა არის? გუნდმა თავისიანად მიმიღო. ძველ მეგობრებს ახლები მიემატნენ: ლუენი, ზაეცი, შმატოვალენკო, დერკაჩი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ნორმალურადაა. ვფიქრობ, ცუდად არ უნდა ვთამაშობდეკლუბი კი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფეხბურთელი საზღვარგარეთ წავიდა, კიდევ გამოაჩენს „ბრჭყალებს“ წლევანდელ ჩემპიონატში.

— სიტყვამ მოიტანა და ზომ არ ამაირეთ უცხოეთში გამგზავრებას? მგონი, თქვენც გთავაზობდნენ...

— გარკვეული გეგმები არსებობს. კონკრეტული ჯერ არაფერია, მაგრამ, ვფიქრობ, მალე ყველაფერი გაირკვევა. ისე, საკმაოდ ცნობილი კლუბები მეპატიჟებოდნენ ინგლისიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან.

— ალბათ, კიევის „დინამოს“ 25 წლის კაპიტნის, ნაკრების მოთამაშის ხელში ჩაგდება მათთვის ძალიან მიმზიდველია, თანაც იმ მოთამაშის, რომელმაც ხანმოკლე დროში გაიარა რთული გზა ახალბედიდან კაპიტნამდე. რაშია საიდუმლო?

— ჩემთვის ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. თანაგუნდელებისათვის ეს უფრო ადვილია. ვფიქრობ, საიდუმლო, უპირველეს ყოვლისა, თავად თამაშშია, საქმისადმი ჩემს პროფესიულ დამოკიდებულებაში. ვცდილობ. ვიმედოვნებ, რომ ჩემი ხასიათიც მოსწონთ.

— ალბერიკ, ახლა ქართულ ფეხბურთს დავუბრუნდეთ. ჩემთვის არცთუ სასიამოვნოა ამის გახსენება, მაგრამ თქვენმა ინტერვიუებმა, რომლებიც დეკემბერში მიეცით „სოვეტსკი სპორტსა“ და „ფუტბოლს“, ჩვენ ბევრი უსიამოვნო წუთი განგვაცდევინა. „ოსტატობის დაკარგვა“, „ფეხბურთელები პაიკები არიან პოლიტიკურ თამაშებში“. სულ რამოდენიმე თვით ადრე კი ცვეიბა სულ სხვას ლაპარაკობდა — ახალ შესაძლებლობებზე ნიჭიერი ფეხბურთელებისთვის, საკუთარ ერთგულებაზე ქართული სპორტისადმი...

— მე თვითონ არ მსიამოვნებს ამ პუბლიკაციების გახსენება. უკვე მოყოლილი მაქვს, თუ როგორ იყო საქმე სინამდვილეში. ვიმეორებ, უცნაური რამ მოხდა. არც „ფუტბოლისთვის“ არც „სპორტისთვის“ მსგავსი არაფერი მითქვამს. „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტს ბორისოვს საერთოდ არ შეუხვედრივარ, ორიოდე წუთი ვესაუბრე ტელეფონით, ავადმყოფობა ოვიმისეზე. რამდენიმე არაფრისმთქმელი ფრაზის შემდეგ დავემშვიდობეთ ერთმანეთს და უცებ... წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომელშიც მე აღმოვჩნდი: მოღალატე, რომელიც ლაფში სვრის მშობლიურ ფეხბურთს, ხალხს რომლებმაც ბევრი რამ გამიკეთეს. ანატოლი დემიანენკოს რომ ვაცილებდით „მაგდებურგში“ რეზო ჩელებაძე ჩამოფრინდა. თვალის გასწორების მრცხვენოდა. არადა, ჩემი აზრით, სიმართლე ასეთია: ორი-სამი კლუბის გარდა, საკლუბო გუნდების ოსტატობის დონე გაიზარდა, გამოჩნდნენ ახალი სახელები, რეგიონებში იმატა ინტერესმა ფეხბურთისადმი. ოღონდ ერთია — ძალზე საჭიროა საერთაშორისო კავშირები!

— როგორ აფასებენ თქვენი ახლანდელი პარტნიორები საქართველოს ფეხბურთის გამოყოფის ფაქტს?

— მხოლოდ იმას ნაობენ, რომ ჯერჯერობით არ შეუძლიათ თავიანთ ძველ მეგობრებთან თამაში და იმედი აქვთ, რომ ბლოკადა მალე შეწყდება. მაგალითად, ოლეგ ლუენის, რომელიც მომზრეა უკრაინული ფეხბურთის გამოყოფის იდეისა, ერთი სული აქვს როდის შეხვდება თბილისელ ფეხბურთელებს ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრაში. ასეთივე აზრის არის თითქმის ყველა.

— ეს, რა თქმა უნდა, ცალკე თემაა. ალბერიკ, ჩვენი ხანგრძლივი საუბრი სულ ფეხბურთის გარშემო ტრიალებს. როგორ ისვენებთ მისგან?

— წიგნები და მეგობრები. ეს მეხმარება დასვენებაში.

— ალბერიკ, თქვენ დიდი პოპულარობით სარგებლობთ კიეველ ქალიშვილებში. გაზეთ „ვეჩერნი კიევის“ კონკურსში, რომელიც სუსტი სქესის მკითხველთა შორის ჩატარდა, თქვენ მეორე იყავით ვლადიმერ ბესონოვის შემდეგ. დაოჯახებაზე არ გიფიქრიათ?

— (იცინის). არა. ჯერ არ გადამიწყვეტია. თუმცა, ვფიქრობ, დრო.

— ალბერიკ, გაზრდილი რადიაცია არ მოქმედებს თქვენზე?

— მართალი გითხრათ, ცოტა მეშინია კიდეც. ვცდილობ არ ვიფიქრო ამაზე. ალბათ, ჩემი ბოლო სეზონია კაშირში.

— წარმატებებს გისურვებთ.

— გმადლობთ. დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს, ყოფილ პარტნიორებს და მოკითხვა გადაეცით მწვრთნელებს — ვლადიმერ შამბას, დავით ყიფიანს, რომელებმაც უდიდესი ამაგი დამდეს. ვეცდები ისე ვითამაშო. რომ სამშობლოს არ შერცხვეს ალბერიკ ცვეიბასი.

ესაუბრა
მიხაილ ვიგნანსკი.

P.S. ამას წინათ ვესაუბრებოდი „იბერიის“ ახლანდელ მწვრთნელს, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს რეზო ძოძუაშვილს, რომელმაც ალბერიკ ცვეიბაზე მითხრა: „ეს არის დიდი მომავლის მქონე ძალზე ნიჭიერი ფეხბურთელი“. იმედია, ძოძუაშვილი არ შეცდა...

ევროპული ჩემპიონატი

I ტური

იბერია — მრეტები 1:0
ბურია — ამირანი 5:0
ჭუთაისი — სამტრედია 5:3
კოლხეთი-13 — სულორი 1:1
ბათუმი — შევარდენი 1:1
ოდიში — მზიური 0:1
მარგვეთი — მერცხალი 0:0
გორდა — დილა 1:0
ალაზანი — სამგურალი 2:1
ცხუმი — კოლხეთი 4:2.

II ტური

სამგურალი — მრეტები 0:4
დილა — ალაზანი 2:0
მერცხალი — გორდა 0:4
მზიური — მარგვეთი 2:1
სულორი — ბათუმი 2:1
სამტრედია — კოლხეთი-13 1:0
ჭუთაისი — ამირანი 1:0
იბერია — ბურია 4:2
კოლხეთი — ოდიში 1:4
შევარდენი-06 — ცხუმი 0:1

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. გორდა	2	2	0	10	5:0	6
2. ჭუთაისი	2	2	0	0	6:3	6
3. იბერია	2	2	0	0	6:2	6
4. ცხუმი	2	2	0	0	5:2	6
5. მზიური	2	2	0	0	3:1	6
6. სულორი	2	1	1	0	3:2	4
7. ბურია	2	1	0	1	7:4	3
8. მრეტები	2	1	0	1	4:1	3
9. ოდიში	2	1	0	1	4:2	3
10. დილა	2	1	0	1	2:1	3
11. სამტრედია	2	1	0	1	4:5	3
12. ალაზანი	2	1	0	1	2:3	3
13. ბათუმი	2	0	1	1	2:3	1
14. კოლხეთი-13	2	0	1	1	1:2	1
15. მარგვეთი	2	0	1	1	1:2	1
16. შევარდენი-06	2	0	1	1	1:2	1
17. მერცხალი	2	0	1	1	0:4	1
18. კოლხეთი	2	0	0	2	3:8	0
19. სამგურალი	2	0	0	2	1:6	0
20. ამირანი	2	0	0	2	0:6	0

ალბერტ ალავერდიანის ფოტო

„კოლხეთი-13“ — „სულორი“ 1:1

[illegible] 2-7 0

11.09. ლუქსემბურგი — ბელგია; 16.10. გერმანია — უელსი; 13.11. უელსი — ლუქსემბურგი; 20.11. ბელგია — გერმანია; 17.12. გერმანია — ლუქსემბურგი.

VI ჯგუფი

ჰოლანდია	6	4	1	1	14-2	9
პორტუგალია	5	3	1	1	9-3	7
ფინეთ[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	1	4-4	5
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	7-4	4
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	1

წყალთხილამურები

ევროპის ჩემპიონატი. ფოთი. 14-18 აგვისტო. ვაჟები. ფიგურული სრიალი. 1. ნიკოლა დე ფორესტიერი (საფრანგეთი) — 8816; 2. პატრისიო ბუზოტა (იტალია) — 8450; 3. ოლეგ დეკიატოვსკი (სსრკ) — 8260. სლალომი. 1-2. ჯონ ბათლდეი (დიდი ბრიტანეთი) და მარკო ბეტოსინი (შვეიცარია) — ორივე 34 ჭულა (4/11) 3. პიერ კარპენი (საფრანგეთი) — 33,50 (3,5/11) დამატებითი სერია: ბათლდეი — 4/11; ბეტოსინი — 3/11. ტრამპლინიდან ხტომები. 1. ანდრეა ალესი (იტალია) — 57,2; 2. დანიელ დიბრინგერი (ავსტრია) — 56,0; 3. კლოდ პერესი (საფრანგეთი) — 54.1. მრავალჭიდი. 1. ალესი — 227,5; 2. ბუზოტა (იტალია) — 201,9; 3. დეკიატოვსკი (სსრკ) — 200,3. ჭალები. ფიგურული სრიალი. 1. ოლგა პავლოვა (სსრკ) — 7030; 2. ნატალია ივანოვა (სსრკ) — 7000; 3. ფრედერიკა სავენი (საფრანგეთი) — 6750. სლალომი. 1. ფილიპა რობერტსი (დიდი ბრიტანეთი) — 26 (2/12); 2. ოლგა გუბარენკო (სსრკ) — 25 (1/12); 3. ოლგა გრომიკო (სსრკ) — 22 (4/13). ტრამპლინიდან ხტომები. 1. ბრიტა გრებე (ავსტრია) — 39,5; 2. ოლგა გუბარენკო (სსრკ) — 38,5; 3. კლაუდია გუზენბაუერი (ავსტრია) — 38,4. მრავალჭიდი. 1. პავლოვა — 2084,9; ივანოვა — 2056,5; 3. სავენი — 2036,7. გუნდური ჩათვლა. 1. სსრკ — 6398,1; 2. იტალია — 6254,2; 3. საფრანგეთი — 6203,5.

ჭადრაკი

მსოფლიო პირველობა. პრეტენდენტთა მეოთხედფინალები. მამაკაცები. ბრიუსელი. პირველი ტური. ნაჩქელ შორტი (ინგლისი) — ბორის გელფანდი (სსრკ) — 0:1; ვასილი ივანჩუკი — არტურ იუსუპოვი (ორივე სსრკ) — 0,5:0,5; იან ტიმანი (ჰოლანდია) — ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 0,5:0,5; ვისვანათან ანანდი (ინდოეთი) — ანატოლი კარპოვი (სსრკ) — გადადო. მეორე ტური. გელფანდი — შორტი — გადაიდო; იუსუპოვი — ივანჩუკი — 1:0; კორჩნოი — ტიმანი — 0:1; კარპოვი — ანანდი — გადადო. გადადებული პარტიები. გელფანდი — შორტი — 0:1; ანანდი — კარპოვი — 0,5:0,5; კარპოვი — ანანდი — 0,5:0,5. მესამე ტური. შორტი — გელფანდი — 1:0 (0:1); ივანჩუკი — იუსუპოვი — 1:0 (1,5:1,5); მომავალში უეჭველ[illegible] — 1:0 (2,5:0,5); ანანდი [illegible] — 0,5:0,5 [illegible] კარპოვი — გადაიდო. [illegible] ტური. გელფანდი — შორტი — 0,5:0,5 (2:4); იუსუპოვი — ივანჩუკი — 0,5:0,5 (2,5:3,5); კორჩნოი — ტიმანი — 0,5:0,5 (2:4); კარპოვი — ანანდი — გადაიდო. გადადებული პარტიები. ანანდი — კარპოვი — 0,5:0,5, კარპოვი — ანანდი — 0:1 (3:3). მეშვიდე ტური. ტიმანი — კორჩნოი — 0,5:0,5 (4,5:2,5). ტიმანი გავიდა ნახევარ ფინალში. ივანჩუკი — იუსუპოვი — გადაიდო. ანანდი — კარპოვი — 0,5:0,5 (3,5:3,5). შორტი — გელფანდი — 0,5:0,5 (4:3). გადადებული პარტია. ივანჩუკი — იუსუპოვი — 0,5:0,5 (4:3).

ტყვიის სროლა

მე-11 პანამერიკული თამაშები. ჰავანა. მრგვალი სტენდი. 1. აშშ — 445 სამიზნე 450 შესაძლებლობიდან (მსოფლიო რეკორდი).

ველოსპორტი

მსოფლიო ჩემპიონატი. შტუტგარტი. ვაჟები. ჯიგი ადგილიდან ერთ კილომეტრზე 1. ხოსე მორენო (ესპანეთი) — 1.03,82; 2. იენს ჯლიუკლიში (გერმანია) — 1.04,37; 3. ფენე სამუელი (ტრინიდადი და ტობაგო). სპრინტი (პროფესიონალები). 1. კერი ჰოლი (ავსტრალია); 2. ფაბრის კოლა (საფრანგეთი); 3. სტეფან პეტი (ავსტრალია). ჭალები. სპრინტი 1. ინგრიდ ჰარნგი (ჰოლანდია); 2. ანტ ნიმანი (გერმანია); 3. კონი პარასკევი-ილაი (აშშ). ვაჟები. 1. იენო ფიდლერი; 2. ბილ ჰუკი (ორივე გერმანია); 3. გერი ნეიენდი (ავსტრალია). სალიდერო რბოლა. 1. როლანდ კენიგსბოფერი (ავსტრია); 2. დეკიდ სოლარი (იტალია); 3. კერსტენ პოდლეში (გერმანია). გუნდური რბოლა გამოდევნებით 4 კმ. გერმანია (ნიკოლა გლეეკნერი, იენს ლემანი, შტეფან შტაინვეგი, ანდრეას კალჩერი) — 4.08,064 (მსოფლიო რეკორდი). 1. გერმანია; 2. სსრკ; 3. ავსტრალია. ჯგუფური რბოლა (მოუყვარულები). 1. ბრუნო რიზი (შვეიცარია) — 55 ჭულა; 2. სტეფან მაკლეიდი (ავსტრალია) — 40; 3. იან-ბო პეტერსენი (დანია) — 31.5 კმ. გამოდევნებით (პროფესიონალები). 1. ფრენსის მორო (საფრანგეთი). ერთ-ერთი ცდის დროს მან დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 5.40,617. ჯგუფური რბოლა ტრეკზე (პროფესიონალები). 1. ვიაჩესლავ ეკიმოვი (სსრკ); 2. ფრენსის მორო (საფრანგეთი); 3. პეტერ პეტერსენი (ჰოლანდია). ჯგუფური რბოლა 30 კმ. ჭალები. 1. ინგრიდ ჰარნგი (ჰოლანდია) — 40; 2. კრისტელ ვერკსი (ბელგია) — 37; 3. ჯენი აისკოფი (აშშ) — 37. ტანდემი. 1. უოკ პოკორნი და ეშნაველ რაში (გერმანია); 2. პაველ დურანი და ლიუბომირ ხარგასი (ჩეხოსლოვაკეთი); 3. საფრანგეთი. საგზატკეცილო რბოლა. გუნდური. ჭალები. 1. საფრანგეთი — 1:02.14; 2. ჰოლანდია — 1:02.41; 3. სსრკ — 1:02.51.

ფრენბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი ბლაუზე. ალბერია (ესპანეთი). ვაჟები. ფინალი. საფრანგეთი (კრისტიან პენიგრ — ჟან-ფილიპ ფოდარი) — ბრაზილია — 111 (მარლო ტულიო-კოგო მარლო დე ალმეიდა) — 2:0 (12:7, 13:11). მატჩი მესამე ადგილისთვის. ბრაზილია-1 — ბრაზილია-2 — 2:0 (12:4, 12:5).

კეტბურთი

ევროპის ჩემპიონატი. რომი. 1. იტალია; 2. ჰოლანდია; 3. ესპანეთი.

ცურვა

აშშ-ის ჩემპიონატი. ფორტ-ლაუდერდეილი (ფლორიდას შტატი). ვაჟები. 200 მ. ბრასი. 1. მაიკ ბაროუმენი — 2.10,60 (მსოფლიო რეკორდი). 200 მ. გულაღმა. 1. მარტინ ლოპეს-სუბერი (ესპანეთი) — 1.57,30 (მსოფლიო რეკორდი).

ამერიკული ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი. ჰელსინკი. ნახევარფინალ[illegible] ფინეთი — საფრანგეთი — 52[illegible] — 49:3. [illegible] ტანდემი. [illegible] (სსრკ) — 453,90; 2. ინგა აფონინა (სსრკ) — 423,39; 3. უტე ვეიტციგი (გერმანია) — 382,47. 3-მეტრიანი ტრამპლინი. ვაჟები. 1. ალბინ კილატი (გერმანია) — 639,45; 2. იოაკიმ ანდერსონი (შვეცია) — 607,02; 3. დავიდ ლორენზინი (იტალია) — 596,28.

წყალბურთი. ვაჟები. გამოვლინდა 12 უძლიერესი გუნდი: რუმინეთი, სსრკ, საფრანგეთი, იტალია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკეთი, იუგოსლავია, ჰოლანდია, ესპანეთი, საბერძნეთი, გერმანია.

ცურვა. ვაჟები. 100 მ. ბრასი. ნორბერტ როშა (უნგრეთი) — 1.1,09 (მსოფლიო რეკორდი). 1. ნორბერტ როშა — 1.01, 49; 2. ანდრიან მარშაუსი (დიდი ბრიტანეთი) — 1.01, 88; 3. ჯანი მინერვინი (იტალია) — 1.02, 41. 200 მ. თავისუფალი. 1. არტურ ვოიდატი (პოლონეთი) — 1.48,19; 2. ჯორჯო ლამბერტი (იტალია) — 1,48,15; 3. რობერტო გალია (იტალია) — 1.48,74. ჭალები. 100 მ. თავისუფალი. 1. კატრინ ბლეკინსკი (საფრანგეთი) — 56,20; 2. კარინ ბრინგო (ჰოლანდია) — 56,44; 3. სიმონე ოსიგუსი (გერმანია) — 56,47. 400 მ. კომპლექსური. 1. კრისტინა აგირესეი (უნგრეთი) — 4.39,78; 2. ბეატრის კოადა (ოუმენეთი) — 4.44,67; 3. ევა სინოვსკა (პოლონეთი) — 4.47,92. ესტაფეტა 4×200მ. 1. დანია — 8.05,90; 2. გერმანია — 8.10,26; 3. ჰოლანდია — 8.13,97. სინქრონული ცურვა. სოლისტები. 1. ოლგა სედაკოვა (სსრკ) — 177,886; 2. ქრისტინა ფალასინიდი (საბერძნეთი) — 177,32; 3. ა. კაპრონი (საფრანგეთი) 174,26.

წყალში ხტომა. მეტრიანი ტრამპლინი. ვაჟები. 1. ანდრეი სემენუკი (სსრკ) — 595,19; 2. პეტერ ბეჰლერი (გერმანია) — 583,76; 3. ედვინ ინგეანსნი (ჰოლანდია) — 559,64.

ხვალ, 24 აგვისტოს, ტოკიოში იწყება მსოფლიო ჩემპიონატი

შუბმა უნდა იფრინოს

ფინელმა შუბის მტყორცნელმა სეპო რეტიმ გვარიანად ააფორიაქა მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია (ააფ). მოელვარების ზიზღი მის მიერ ორი თვის წინათ დამყარებული რეკორდი იყო. რეტის მიერ ნატყორცნი შუბი 96 მეტრსა და 96 სანტიმეტრს გადასცდა, რაც ააფ-ის უმაღლეს ჩინოსნებს უძილო ღამეების ფასად დაუჯდათ.

თუმცა ეს ყველაფერი ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ დაიწყო, როცა მხოლოდ გერმანელი უვე ჰონი და ამერიკელი ტომ პეტრანოფი ტყორცნიდნენ შუბს ას მეტრს იქით, ხოლო „მარადიულ მსოფლიო რეკორდს“ (104,80), რომელიც ჰონმა 1984 წელს დაამყარა ბერლინში, ეგრეთ წოდებული „მოლივლივე შუბების“ გამოყენების აკრძალვა მოჰყვა. ააფ-ის განკარგულებით დამუშავდა ახალი კონსტრუქციის შუბი, რომელშიც სიმძიმის ცენტრი გადანაცვლებული იყო. ამან შეამცირა ფრენის სიშორე და უზრუნველყო... მაყურებლის უსაფრთხოება. რეკორდების გადათვლაც ახლებურად დაიწყო.

მაგრამ შარშან ააფ-ის ხელმძღვანელთა მყუდრო ცხოვრება დაირღვა. ინგლისელმა სტივ ბაკლიმ სწორედ ეს ახალი შუბი პირველად ტყორცნა 90 მეტრს იქით. წლევანდელ სეზონში უკვე რეტიმ მიიტანა იერიში „სპრინტერულ დისტანციაზე“.

ახალი მსოფლიო რეკორდსმენი შვეციის ფირმა „სადვიკოს“ იარაღს იყენებს. „ჩემპიონის“ ტიპის ყვითელი შუბი სიგრძით 260 სანტიმეტრია და 800 გრამს იწონის, ბოლო ნაწილში, 150-სმ-ის მონაკვეთზე, მას სპირალის ფორმა აქვს, ზედაპირი კი სპეციალური ლაქით არის დაფარული, რაც მის „საფრენ“ თვისებებს აუმჯობესებს. სხვათა შორის, „ჩემპიონის“ ტიპის შუბებით იასპარეზებენ ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში, და აი, ახლა ააფ-ის ხელმძღვანელები უკვე იმაზე იმტვრევენ თავს, სად ჩაატარონ შუბის მტყორცნელთა შეჯიბრება. თუ საქმე რეკორდამდე მივიდა, მაშინ ხომ ფეხბურთის მინდორიც არ იკმარებს. არანაკლები საზრუნავი და საფიქრალი ექნებათ ტოკიოს წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს.

ახლა შუბის შეცვლას აზრი არა აქვს. ჯერ ერთი, ახალი კონსტრუქციის დამუშავებას უამრავი დრო დასჭირდება. მეორეც, ახალი იარაღი მუდამ ძალზე ძვირი ღირს და ყველა სპორტსმენს როდი შეუძლია თავს მისი წარამარა გამოცვლის უფლება მისცეს.

— რეტის რეკორდი დიდი ნაბტომია შუბის ტყორცნის განვითარების გზაზე. მაგრამ ახლაც ისეთივე მდგომარეობა იქმნება, როგორიც ჩემს დროს იყო. ერთი რამ არ მესმის, რატომ უნდა შეიცვალოს შუბი? მისი დანიშნულება ხომ მხოლოდ ფრენაა, სხვა არაფერი, — ამბობს უვე ჰონი. მისი აზრით, ახალი მსოფლიო რეკორდი უკვე ტოკიოში დამყარდება, როცა სექტორში რეტი და ბაკლი წარდგებიან ერთმანეთის პირისპირ.

უნდა ითქვას, ამ სეზონში ინგლისელმა სპორტსმენმაც დაიწყო „ჩემპიონის“ ტიპის შუბის გამოყენება და ძალიან მოსწონს. „მომენატრა დიდი შეჯიბრებები და უკვე მოუთმენლად ველი მსოფლიო ჩემპიონატს. შარშან მე და რეტი ვკამათობდით, პირველი რომელი გადავლახავდით 90 მეტრიან ზღვარს. ახლა ორივეს რეალური მიზანი გვაქვს — ასი მეტრი უნდა დავძლიოთ. ეს დიდი სტიმულია“, — ამბობს ბაკლი.

სეპო რეტიც იმ აზრისაა, რომ ტოკიოში ახალი მსოფლიო რეკორდი უნდა დამყარდეს. „ბოლო ხანს მე დიდ დროს ვუთმობ გარბენის სრულყოფას. ეს ელემენტი ყოველთვის არ გამომდის. ასე იყო ბერლინში, სადაც სარეკორდო ცდაზე სისწრაფე არ მეყო, თორემ მაშინ შეიძლება უკეთესი შედეგიც მეჩვენებინა. იმედი მაქვს, ტოკიოში მე და სტივი შევძლებთ მაყურებლის აღფრთოვანებას“, — ამბობს მსოფლიო რეკორდსმენი.

„სპორტი“

ბენ ჯონსონი

„მაზარეგელს“ მაინც მიასწრო...

ბენ ჯონსონი, შეიძლება ითქვას, ბოლო მომენტში შეახტა მსოფლიო ჩემპიონატზე მიმავალ „მატარებელს“. ამისათვის მას „დასჭირდა“ მეოთხე ადგილის დაკება კანადის ეროვნულ პირველობაზე. ერთი სიტყვით, თავის დროზე ბლანტის ყველაზე სწრაფი ადამიანი „ჩამოქვეითდა“ და საესტაფეტო გუნდში გადაბარგდა.

კანადელმა სპრინტერმა დიდი გაჭირვებით ჩაიგდო ხელში „ბილეთი“ ტოკიომდე. დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ მან პირველად მიიღო მონაწილეობა კანადის ჩემპიონატში და გული დასწყვიტა თავის თაყვანისმცემლებს. ჯერ იყო და 100 მეტრზე რბენაში ნახევარფინალში საკმაოდ მოკრძალებული შედეგი აჩვენა (10,47) და ფინიშზე მესამე იყო. ფინალში ჯონსონმა, მართალია, გაუმჯობესა შედეგი (10,30), მაგრამ მხოლოდ მეოთხე იყო და ვერ შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმა, ამით მან დაკარგა ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე სპრინტერთა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის შანსი. იგი შეეკვანილია საესტაფეტო კვარტეტში და პირველ ეტაპზე გამოვა. მეორეზე ირბენს ეტლ მაბორი, რომელიც ესტაფეტას გადასცემს პიტერ ოგილვის. ბოლო მეოთხე ეტაპზე გამოვა ბრუნო სურინი, რომელმაც კანადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა — 10,03.

მიუხედავად ასეთი უფერული გამოსვლისა, სპრინტის „ეკს-მეფე“ არ გამოირჩეოდა თავმდაბლობით და მისი განცხადება ჟურნალისტებმა არასერიოზულად მიიჩნიეს: „ეს, რაც თქვენ ნახეთ, არაფერს ნიშნავს. მე ჩემს მიგაღწევ და გავიმარჯვებ ბარსელონის ოლიმპიადაზე. ჟურნალისტებმა თავის მხრივ შეახსენეს ჯონსონს, რომ ამ ცოტა ხნის წინ მან განაცხადა, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატში, მაგრამ მისთვის უველაფერი უკუღმად შებრუნდა.

ჯონსონის ახალმა მწვრთნელმა კლაიდ დანკენმა დაიცვა თავის შეგირდი. მან თქვა, რომ ამ სეზონში ბენი აღიდგენს სპორტულ ფორმას, რაც უთუოდ მოუტანს გამარჯვებას ოლიმპიურ წელს.

როგორც იტყვიან, მომავალი გვიჩვენებს...

მასალები მოამზადა
შალვა მიხელიძემ.

„ბეტარტა“

ჰაიკე დრეხლერი

ჰაიკე დრექსლერის პროგნოზი

მისი სახელი ყოფილი გდრ-ის მდიდარი სპორტული ტრადიციების სიმბოლოა. იგი 1983 წელს, 19 წლისა გახდა მსოფლიო ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში და მას მერე მძლეოსნობის მრავალი რეკორდის ავტორია. იგი გადახტა 7 მეტრზე შორს, 100 და 200 მეტრი გაირბინა 11 და 22 წამზე უფრო მცირე დროში. ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე, 27 წლის ჰაიკე დრექსლერი იქნება ერთიანი გერმანიის გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა.

„მწამს, რომ იაპონიაში გერმანელი სპორტსმენები მაღალ შედეგებს მიაღწევენ. ნ[illegible]ებში თავი მოიყარეს უძლიერესმა ათლეტებმა. თუ ჩვენ ერთიან მონოლითურ გუნდად წარვსდგებით, პრობლემა აღარ გვექნება“ — ამბობს დრექსლერი. იგი თვლის, რომ ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ყოფილი გდრ-ის სპორტსმენების მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, რაც პირველ რიგში, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ეკონომიკური კრიზისის ბრალია.

— აღრე ჩვენ ბევრი კარგი მწვრთნელი გვყავდა და საკმარისი დროც გვქონდა საკუთარ თავზე სამუშაოდ. კარგად გვეხმარებოდნენ მატერიალურადაც. დღეს ყოველივე ამას მოკლებულნი ვართ. ჯეჯრჯერობით სპორტის სიყვარული მე და ჩემს მეგობრებს გვეხმარება, რათა კიდევ ვიარჯიშოთ, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. სასაცილოა სპორტის კარგი დაფინანსების გარეშე მაღალ შედეგებს ველოდეთ — ამბობს დრექსლერი.

ჰაიკე და მისი მეგობრები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეულად გამოვიდნენ და საკუთარი მაღალი ავტორიტეტი არ შელახონ. თუმცა იგი უკვე შალსულია, რადგან ყოფილი გდრ-ის სპორტსმენებს ბრალად ედებათ დოპინგის ხმირი გამოყენება.

— ყველას ერთნაირად გაკიცხვა სწორი არ არის. ეს უსამართლობაა. მე ყოველთვის „ხუფთა“ ვიყავი. ჩვენ იმიტომ ვიმარჯვებდით, რომ მოშზადების საუცხოო პირობები გვქონდა — აგრძელებს დრექსლერი.

— რომელ დისციპლინებში აპირებთ გამოსვლას?

— ალბათ 200 მეტრზე სირბილში და სიგრძეზე ხტომაში. ჩემი ფიზიკური მონაცემები ყველაზე უკეთ ამ დისციპლინებს ერგება. შესაძლოა მწვრთნელებმა გამომიყვანონ 4×100 მეტრზე ესტაფეტაზე.

— ვარაუდობენ, რომ ერთიანი გერმანიის გუნდს, ჩემპიონატზე, კონკურენციას ვერავინ გაუწევს.

— ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და შევეცდებით, რომ ასეც მოხდეს.

— ოლესმე გიფიქრიათ შვიდჭიდში გეცალათ ბედი?

— ამაზე არასოდეს მიფიქრია, თუმცა ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ პროფილის გამოცვლას ვაპირებ. მე ხომ სიმაღლეზე არცთუ ურიგოდ ვხტები და ბადრის ტყორცნისთვისაც საკმაოდ ღონიერი ვარ, 800 მეტრზე სირბილი კი ჩემთვის უმძიმესი გამოცდა იქნება.

— თქვენ ფიქრობთ 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე?

— ის ჯერ შორს არის...

გერმანია

3 აგვისტოს დაიწყო გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელშიც ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებიც მონაწილეობენ. თუმცა გფრ-ისა და გდრ-ის ფეხბურთის ფედერაციები გასული წლის 21 ნოემბერს გაერთიანდნენ, მაგრამ გადაწყდა, რომ ბუნდესლიგისა და ობერლიგის ჩემპიონატები ცალ-ცალკე გაგრძელდებოდა და გდრ-ის საუკეთესო გუნდები ბუნდესლიგაში მხოლოდ 1991 წელს შევიდოდნენ.

ახალ სეზონში ბუნდესლიგა 18 გუნდიდან 20-მდე გაიზარდა. ლიგას დაემატნენ აღმოსავლეთ გერმანიის ორი საუკეთესო გუნდი — როსტოკის „ჰანზა“ და დრეზდენის „დინამო“. მეორე ლიგა, რომელშიც აქამდე ოცი გუნდი გამოდიოდა 24-მდე გაიზარდა და ორ — ჩრდილოეთის და სამხრეთის ზონებად დაიყო. მაგრამ გუნდების რიცხვის ეს გაზრდა დროებითია. გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას განზრახული აქვს ორ წელიწადში გუნდების რაოდენობა პირველ და მეორე ლიგებში 16-მდე დაიყვანოს. ამ სეზონში პირველ ლიგას 4 გუნდი დატოვებს, ხოლო მეორე ლიგიდან მხოლოდ 2 გადავა. გერმანიის საფეხბურთო ხელმძღვანელები თვლიან, რომ გუნდების რიცხვის შემცირება ხელს შეუწყობს ფეხბურთის კლასის ამაღლებას.

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ გერმანიის გუნდების შემოერთებამ ფეხბურთის ფედერაციის წინაშე მრავალი პრობლემა წარმოშვა. ყოფილი გდრ-ის გუნდების გულშემატკივრები უკანასკნელ წლებში სტადიონებზე მასობრივი არეულობების ორგანიზატორები გახდნენ. წლეულს უეფა-მ დრეზდენის „დინამოს“ ორი წლით აუკრძალა ევროპის ტურნირებზე გამოსვლა, მას შემდეგ, რაც „დინამოს“ მაყურებლებმა ჩაშალეს ევროპის ჩემპიონათა თასის მატჩი ოუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასთან“. გერმანიის საფეხბურთო ხელმძღვანელობა შიშობს, რომ აღმოსავლეთ გერმანელი გულშემატკივრების გამო შესაძლოა მთელი გერმანიის ფეხბურთი დაზარალდეს. ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა განუცხადა გერმანიის საფეხბურთო ფედერაციას, რომ თუ სტადიონებზე წესრიგის დარღვევის ფაქტები გაგრძელდება, გერმანიის კლუბებს იგივე ბედი ეწევათ, რაც ინგლისის კლუბებს 1985-1990 წლებში.

ახალი სეზონის წინ გერმანიის გუნდების შემადგენლობებში განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა. ერთადერთი გუნდი, რომელმაც ძვირადღირებული ფეხბურთელები შეიძინა, მიუნხენის „ბაიერნია“. ბავარიის კლუბმა ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი — მაზინიო („ბრაგანტინო“) და ბერნარდო („სან-პაულუ“) შეიძინა. ამას გარდა, გუნდში გადავიდნენ თომას ბერთოლდი („რომა“) და ბრუნო ლაბადია („კაიზერსლაუტერნი“). სამაგიეროდ, „ბაიერნმა“ „იუვენტუსს“ მიჰყიდა შტეფან როიტერი და იურგენ კოლერი. ორივე ფეხბურთელში ერთად „ბაიერნმა“ თითქმის 10 მილიონი დოლარი აიღო.

როიტერისა და კოლერის გარდა, გერმანია ქვეყნის კიდევ ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა, წარსულში აღმოსავლეთ გერმანიის ნაკრების წევრმა თომას დოლმა დატოვა. დოლი „ჰამბურგიდან“ 8,3 მილიონ დოლარად შეიძინა იტალიის „ლაციომ“. გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ცდებს, შეაჩეროს ქვეყნის ფეხბურთელების უცხოეთში უწყვეტად მიმავალი ნაკადი, ჯერჯერობით შედეგი არ გამოუღია. მაგრამ, როგორც ჩანს, მდგომარეობა მალე შეიცვლება. ფედერაციამ სარფიანი ხელშეკრულება დადო რამდენიმე ორგანიზაციასთან, მათ შორის სათანამგზავრო არხთან SAT 1. SAT 1-მა მიიღო გერმანიის ჩემპიონატის მატჩების გადაცემის უფლება 1992-97 წლებში, ხოლო სამაგიეროდ გერმანიის ფეხბურთი უზარმაზარი თანხის — 358 მილიონი დოლარის მფლობელი გახდება, რაც საშუალებას მისცემს კლუბებს ხელფასები მოუმატონ ფეხბურთელებს. გერმანის ნაკრების მწვრთნელის ბერტი ფოგთსის აზრით, ხელფასების მომატება დააკავებს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებს გერმანიაში. „ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებს გერმანიის კლუბებში ეთამაშათ“, თქვა ფოგთსმა.

კლუბების შემოსავლის ზრდას ხელს მაყურებელთა კარგი დახმარებაც უწყობს. ამ მხრივ გასული სეზონი უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში საუკეთესო აღმოჩნდა. თითოეულ მატჩზე საშუალოდ 20710 მაყურებელი მოვიდა. რა თქმა უნდა, გულშემატკივართა ასეთი დაინტერესება ქვეყნის ჩემპიონატის დაძაბული მიმდინარეობით, ასევე მსოფლიო ჩემპიონატზე, გერმანიის ნაკრების წარმატებით იყო განპირობებული.

წლევანდელი ჩემპიონატის უკვე პირველ ტურში ახალი რეკორდი დამყარდა. 10 თამაშს 250 ათასი მაყურებელი დაესწრო. ასეთი რამ გერმანიის ფეხბურთს 1982 წლიდან არ მოსწრებია. ყველაზე მეტი, 55 ათასი მაყურებელი მივიდა ჩემპიონატის გახსნაზე გელზენკირჰენში, სადაც ერთმანეთს „შალკე 04“ და „ჰამბურგი“ შეხვდნენ.

ფეხბურთელებმა მაყურებელს იმედი არ გაუცრუეს. ჩემპიონატის პირველი ტურები დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. პირველობის აღმოჩენად ითვლება როსტოკის „ჰანზას“ თამაში. „ჰანზამ“, რომელმაც გასულ სეზონში აღმოსავლეთ გერმანიის ჩემპიონის ტიტული და თასი მოიპოვა, თავი არც გაერთიანებული გერმანიის ლიგაში შეირცხვინა. როსტოკელებმა 3 მატჩის შემდეგ 6 ქულა დააგროვეს (შინ დიდი ანგარიშით მოუგეს „ნიურნბერგს“ და დორტმუნდის „ბორუსიას“, ხოლო სტუმრად მრისხანე „ბაიერნი“ დაამარცხეს). გუნდის მწვრთნელმა, გფრ-ის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა უვე რაინდერსმა, რომელიც ჩემპიონატის წინ „ჰანზას“ მთავარ ამოცანად პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას მიიჩნევდა, შეაქო თავისი გუნდის თამაში და თქვა, რომ „ჰანზას“ მაღალი ადგილისათვის ბრძოლაც ძალუძს.

„ჰანზა“ წარმატებით ასპარეზობს გერმანიის თასზეც. როსტოკელებმა მეორე წრეში დაამარცხეს „დარმშტადტი“ (3:1) და შემდეგ წრეში გავიდნენ. სენსაციურად დამთავრდა თასის მატჩი მიუნხენში, სადაც „ბაიერნი“ დამარცხდა მეორე ლიგის „ჰომბურგთან“ 2:4. შეჯიბრებას აგრეთვე გამოეთიშა პირველი ლიგის „შალკე 04“, რომელმაც შინ წააგო ერფურტის „როტ ვაისთან“ 1:2 („შალკეს“ გოლი საბჭოთა ფეხბურთელმა ბოროდიუკმა გაიტანა).

გუშინწინ გაიმართა მეოთხე ტურის მატჩები: „ბორუსია“ (მონჰენგლადბახი) — „ვერდერი“ 0:2, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ფორტუნა“ 3:1, „ნიურნბერგი“ — „დინამო“ 1:1, „ბაიერნი“ — „შალკე“ 3:2, „კაიზერსლაუტერნი“ — „კიკერსი“ 4:3, „ჰამბურგი“ — „კიოლნი“ 1:1, „აინტრახტი“ — „ბოხუმი“ 2:1, „შტუტგარტი“ — „ჰანზა“ 3:0, „ვატენშაიდი“ — „კარლსრუე“ 1:1, „ბაიერი“ — „დუისბურგი“ 2:1.

„ჰანზა“	4	3	0	1	11-5	6
„აინტრახტი“	4	3	0	1	10-4	6
„ჰამბურგი“	4	2	2	0	6-3	6
„კაიზერსლაუტერნი“	4	2	2	0	7-5	6
„ბაიერი“	4	3	0	1	4-4	6
„ბაიერნი“	4	3	0	1	13-4	10
„მონაკო“	6	5	0	1	14-6	10
„მარსელი“	6	4	2	0	9-3	10
„ლილი“	6	3	2	1	6-3	8
„ნანტ“	6	3	2	1	5-3	8

საფრანგეთი

ბერნარ ტაპიმ კიდევ ერთი უცხოელი ფეხბურთელი იყიდა. „მარსელის“ ახალი შენაძენია ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ტრევორ სტივენი. სტივენში „მარსელმა“ გლაზგოს „რეინჯერსს“ 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი (8 მილიონ დოლარზე მეტი) გადაუხადა. სტივენი ახლახანს იტალიის „ბარიში“ გადასული პლეტის შემდეგ ბრიტანეთის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა.

ყველას ეგონა, რომ გარიგება არ შედგებოდა: „მარსელმა“ თავდაპირველად ვერ მოახერხა იმ ფინანსური გარანტიების წარდგენა, რომელიც „რეინჯერსის“ პრეზიდენტს დეივიდ მარის დაეკმაყოფილებდა. საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა და „მარსელმა“ სტივენის უეფა-ში გასაგზავნ განაცხადში შეყვანაც კი მოასწრო. უეფა-ში განაცხადის გაგზავნის ვადა 16 აგვისტოს მთავრდებოდა. ასე რომ, სტივენი შეძლებს ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩებში მონაწილეობის მიღებას.

მე-6 ტურში „მარსელმა“ სტუმრად დაამარცხა „კაენი“ 3:1. ორი გოლი პაპენმა გაიტანა, ერთი — პელემ. ყურადღების ცენტრში იყო მატჩი პარიზში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ „პარი სენ-ჟერმენი“ და „მონაკო“. ორივე გუნდი მე-6 ტურამდე დაუმარცხებლად ასპარეზობდა, მაგრამ თუ პარიზელმა ფეხბურთელებმა ჩემპიონატის ხუთივე მატჩი ფრედ დაამთავრეს, „მონაკომ“ ხუთი შეხვედრიდან 10 ქულა დააგროვა და პირველ ადგილზე მოექცა. „სენ-ჟერმენმა“ შეძლო „მონაკოს“ შთამბეჭდავი სერიის შეწყვეტა — 2:0. გოლები გაიტანეს პერეზმა, სიმბამ. „მონაკოს“ მატჩის ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში რიცხობრივ უმცირესობაში მოუწია თამაში: მოედნიდან პროფესიული ფოლისთვის გააძევეს მონაკოელი მანდი. შეხვედრის შემდეგ „სენ-ჟერმენის“ მწვრთნელმა პორტუგალიელმა არტურ ჟორჟემ აღნიშნა, რომ. გუნდის მოთამაშეები ერთმანეთს ეჩვევიან და რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო კარგ თამაშს უჩვენებს „სენ-ჟერმენი“.

სატურნირო ცხრილს სათავეში „მეცი“ ჩაუდგა. „მეცმა“ შინ მოუგო „სენტ-ეტიენს“ 1:0 (უისმანი). სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ნიმი“ — „ნანტი“ 0:0, „სოშო“ — „ოსერი“ 1:0, „ტულუზა“ — „ლანი“ 1:1, „ლიონი“ — „კანი“ 0:0, „ლილი“ — „მონპელიე“ 1:0, „რენი“ — „ნანსი“ 3:1, „ტულონი“ — „ლე ავრი“ 4:0.

მიმდინარე ჩემპიონატში 6 გოლი გაიტანეს ვეამ („მონაკო“) და პაპენმა („მარსელი“).

ევროპის ჩემპიონატი

ზაფხულის შესვენების შემდეგ, მომავალ ოთხშაბათს, ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრით განახლდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ვაქვეყნებთ ჩვენს ჟურნალში შეჭრილ სატურნირო მდგომარეობასა და დარჩენილ შეხვედრათა კალენდარს.

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საფრანგეთი	5	5	0	0	13-3	10
ჩეხეთსლოვაკეთი	5	4	0	1	8-4	8
ესპანეთი	4	2	0	2	14-7	4
ისლანდია	6	1	0	5	4-7	2
ალბანეთი	6	1	0	5	1-19	2

04.09. ჩეხეთსლოვაკეთი — საფრანგეთი; 25.09. ისლანდია — ესპანეთი; 12.10. ესპანეთი — საფრანგეთი; 16.10. ჩეხეთსლოვაკეთი — ალბანეთი; 13.11. ესპანეთი — ჩეხეთსლოვაკეთი; 20.11. საფრანგეთი — ისლანდია; 18.12. ალბანეთი — ესპანეთი.

II ჯგუფი

შვეიცარია	6	4	1	1	17-4	9
შოტლანდია	5	3	2	0	8-4	8
ბულგარეთი	6	2	2	2	10-7	6
რუმინეთი	5	2	1	2	10-6	5
სან მარინო	6	0	0	6	1-25	0

11.09. შვეიცარია — შოტლანდია; 16.10. ბულგარეთი — სან მარინო, რუმინეთი — შოტლანდია; 13.11. შოტლანდია — სან მარინო, რუმინეთი — შვეიცარია; 20.11. ბულგარეთი — რუმინეთი.

III ჯგუფი

სსრკ	4	3	1	0	7-0	7
ნორვეგია	5	3	1	1	8-3	7
იტალია	5	2	2	1	9-4	6
უნგრეთი	6	2	2	2	8-7	6
კვიპროსი	6	0	0	6	2-20	0

28.08. ნორვეგია — სსრკ; 25.09. სსრკ — უნგრეთი; 12.10. სსრკ — იტალია; 30.10. უნგრეთი — ნორვეგია; 13.11. იტალია — ნორვეგია; კვიპროსი — სსრკ; 21.12. იტალია — კვიპროსი.

IV ჯგუფი

იუგოსლავია	6	5	0	1	20-4	10
დანია	5	3	1	1	9-6	7
ავსტრია	5	1	1	3	5-7	3
ჩრდ.ირლანდია	5	0	3	2	3-8	3
ფარერის კ-ბი	5	1	1	3	3-15	3

11.09. ფარერის კ-ბი — ჩრდ. ირლანდია; 25.09. ფარერის კ-ბი — დანია; 09.10. ავსტრია — დანია; 16.10.ფარერის კ-ბი — იუგოსლავია, ჩრდ. ირლანდია — ავსტრია; 13.11. დანია — ჩრდ. ირლანდია, ავსტრია — იუგოსლავია.

V ჯგუფი

უელსი	4	3	1	0	6-2	7
გერმანია	3	2	0	1	4-3	4
ბელგია	4	1	1	2	5-5	3
ლუქსემბურგი	3	0	0	3	2-7	0

11.09. ლუქსემბურგი — ბელგია; 16.10. გერმანია — უელსი; 13.11. უელსი — ლუქსემბურგი; 20.11. ბელგია — გერმანია; 17.12. გერმანია — ლუქსემბურგი.

VI ჯგუფი

ჰოლანდია	6	4	1	1	14-2	9
პორტუგალია	5	3	1	1	9-3	7
ფინეთი	5	1	3	1	4-4	5
საბერძნეთი	3	2	0	1	7-4	4
მალტა	7	1	0	6	1-22	1

11.09. პორტუგალია — ფინეთი; 09.10. ფინეთი — საბერძნეთი; 16.10. ჰოლანდია — პორტუგალია; 30.10.საბერძნეთი — ფინეთი; 20.11.პორტუგალია — საბერძნეთი; 04.12. საბერძნეთი — ჰოლანდია; 22.12. მალტა — საბერძნეთი.

VII ჯგუფი

ინგლისი	4	2	2	0	5-2	6
ირლანდია	4	1	3	0	7-2	5
პოლონეთი	4	2	1	1	4-2	5
თურქეთი	4	0	0	4	0-10	0

16.10. ინგლისი — თურქეთი; პოლონეთი — ირლანდია; 13.11. თურქეთი — ირლანდია, პოლონეთი — ინგლისი.

ევროპის თასი
წინასწარი ეტაპი
I ტურ.

„შელბურნი“ (სესტრიკ) — „ტოტენჰემ ჰოტსპერი“ (ინგლისი) 0:1 (დიუარ).
„ოლბორ“ (ირლანდია) — „ოდენსე“ (დანია) 0:3 (ფერერიტა, ფეიდერსენი, ფინტერუპი).

ინგლისის ჩემპიონატის პირველი ტური: „არსენალი“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 1:1 (ჩემპიონმა ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხა), „ჩელსი“ — „უიმბლდონი“ 2:2, „კოვენტრი“ — „მანჩესტერ სიტი“ 0:1, „ლივერპული“ — „ოულდჰემი“ 2:1 („ლივერპულის“ გოლები ჰაუტონის და ბარნსის ანგარიშზე), „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ნოთს ქაუნთი“ 2:0 (შესანიშნავად ითამაშა საბჭოთა ფეხბურთელმა კანჩელსკისმა, რომლის გადაცემითაც გავიდა ორივე გოლი), „ნორიჩი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 2:2, „ნოტინგემი“ — „ევერტონი“ 2:1, „შეფილდ უენზდეი“ — „ასტონ ვილა“ 2:3 („ვილას“ სამივე გოლი წელს შეძენილმა ფეხბურთელმა — რიჯისმა, ატკინსონმა და სტონტონმა გაიტანეს), „საუთ-ჰემპტონი“ — „ტოტენჰემი“ 2:3 („ტოტენჰემ-მიდან“ ორი გოლი გაიტანა ლინეკერმა, ერთი — დიურიმ), „ვესტ ჰემი“ — „ლუტონი“ 0:0. მატჩი „კრისტალი“ — „ლიდსი“ გადაიდო.

„ლივერპულის“ ფეხბურთელი დეივიდ სპიდი მეორე ლიგის „ბლეკბერნმა“ შეიძინა. სპიდი „ბლეკბერნს“ ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. ამავე გუნდს სურდა „ლივერპულის“ კიდევ ერთი მოთამაშის რონი რეიზენტალის შეძენა, მაგრამ კლუბები ვერ შეთანხმდნენ გადასახდელ თანხაზე.

შოტლანდიის ჩემპიონატში სამი ტურის შემდეგ 6-6 ქულა დაგროვეს „აბერდინმა“, „სელტიკმა“ და „პართამ“. ტურის ცენტრალურ მატჩში „პართამ“ მოუგო ქვეყნის ჩემპიონს „აბერდინს“ 1:0.

გლაზგოს „რეინჯერსისა“ და ინგლისის ნაკრების მეკარე ჭრის კუდლი „შეფილდ უენზდეიმ“ შეიძინა. კუდლმა „უენზდეისთან“ ოთხწლიანი ხელშეკრულება დადო.

იუგოსლავიელ ფეხბურთელს რობერტ პროსინეჩკის ფიფა-მ მისცა მადრიდის „რეალში“ თამაშის უფლება. პროსინეჩკიმ მიიღო გადასვლის დროებითი სერთიფიკატი. იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ აუკრძალა პროსინეჩკის „რეალში“ გადასვლა, რადგან მას ჯერ არ მიუღწევია 25 წლის ასაკისთვის, რომლის შემდეგ იუგოსლავიელ ფეხბურთელებს შეუძლიათ უცხოეთის კლუბებში თამაში.

ბრაზილიაში გამოცხადდა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობისთვის თანამდებობიდან გადაყენეს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი რობერტო ფალკაო.

XI ეტაპი (25 აგვისტო)

ბელგია

1990 — აირტონ სენა (ბრაზილია)
1989 — აირტონ სენა (ბრაზილია)
1988 — აირტონ სენა (ბრაზილია)
1987 — ალენ პროსტი (საფრანგეთი)
1986 — ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი)



60-იანი წლებიდან ფორმულა 1-ის საკმაოდ მოძველებული, უსაშველოდ გრძელი ტრასები თანდათან უფრო „კომპაქტურებით“ შეიცვალა. პირველ რიგში ეს განპირობებული იყო მაყურებელთა ინტერესებით, რათა მათ რბოლისას გაცილებით მეტჯერ ეხილათ უშუალო სიახლოვეს პილოტების ოსტატობა.

ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და გრძელი, თითქმის 15 კმ-იანი წრე იყო ბელგიაში, სპა-ფრანკოშამპში. ამ ტრასის რეკონსტრუქციის დროს ბელგიის „გრან პრის“ ორჯერ უმასპინძლა ნიველმა და ათჯერ ზოლდერმა. სწორედ ზოლდერში მოხდა 1982 წელს ავარია, რომელმაც 30 წლის კანადელი პილოტის ჟილ ვილნევის სიცოცხლე შეიწირა. რბოლის წინა დღეს ვარჯიშისას 260 კმ/სთ სიჩქარით მიმავალი მისი „ფერარი“ ი. მასის მანქანასთან დაჯახების შემდეგ დამცავბარიერს შეასკდა. იმავე ღამეს მრბოლი გარდაიცვალა.

სპა-ფრანკოშამპის ახალი წრე თითქმის ორჯერ დამოკლდა და ახლა 6940 მ-ს შეადგენს. შარშანდელ რბოლაში (44 წრე — 305,36 კმ) ტრასის რეკორდი დამყარდა. ერთი წრე ყველაზე სწრაფად ფრანგმა ალენ პროსტმა („ფერარი“) გაიჭროლა — 217 კმ/სთ სიჩქარით. თუმცა მანამდე, რბოლა ორჯერ შეწყდა უკვე პირველივე წრეზე მომხდარი ავარიების გამო. საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ დაშავებულა, მაგრამ მესამეჯერ სტარტზე გამოსვლა სამმა პილოტმა ვეღარ შესძლო.

საინტერესოა, რომ ბოლო სამ რბოლაში გამარჯვებულის აირტონ სენას შემდეგ ფინიშთან მეორე სამჯერვე ალენ პროსტი იყო.

იყიდება ჩემპიონი

„ოუტ-მოტორი“

მსოფლიოს სპორტული წრეები სენსაციურმა ცნობამ მოიცვა. „უილიამს-რენოს“ გუნდმა, რომელიც „ფორმულა 1“-ის მომდინარე ჩემპიონატში წარმატებით გამოდის, გადაწყვიტა შემადგენლობის გაძლიერება. ამ ფირმისა და ფრანგული ნავთობის კომპანიის „ელვის“ ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მათ სურთ თავიანთ რიგებში ბრაზილიელი აირტონ სენას ხილვა და მზად არიან იგი მოხიბლონ წარმოუდგენელი თანხით — 23 მილიონი გირვანქა სტერლინგით.

ექსპერტების აზრით „უილიამს-რენოს“ ძალუძს ასეთი თანხის გადახდა და მსოფლიოს უძლიერესი პილოტის „მაკლარენ-ჰონდას“ გუნდისთვის წართმევა. სავარაუდოა, რომ სენა გაისად ინგლისელი ნაიჯელ მენსელის ადგილს დაიკავებს, რომლისთვისაც „უილიამსმა“ 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, როდესაც იგი „ფერარისგან“ შეიძინა.

„ᲡᲘᲛᲮᲜᲔᲕᲔ“ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ



სპორტული ფირმა „ადიდასის“ დაკვეთით შეიქმნა ჩემპიონთა კოქტეილი „სიმხნევე“, რომლის რეკლამირებას სიამოვნებით მოჰკიდა ხელი სახელგანთქმულმა ფრანც ბეკენბაუერმა. გთავაზობთ „სიმხნევის“ „ადიდასისა“ და ბეკენბაუერისეულ რეცეპტს.

მაღალ მინის ჭიქაში ჩადეთ ყინულის სამი პატარა ნატეხი, პატარ-პატარად დაჭრილი მწიფე მსხალი, ჩააწურეთ მოზრდილი ლიმონის წვენი. დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი პიტნის ვაქინი და ორასი გრამი მინერალური წყალი, მოურიეთ და მიირთვით.

ᲣᲨᲕᲔᲚᲔᲗ „ᲙᲣᲢᲙᲐᲚᲘᲔᲑᲡ“

შვეიცარიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საფეხბურთო კლუბს, ციურიხის „გრასჰოპერსს“ განსაცდელის ჟამი დაუდგა. გუნდი მძიმე ფინანსურ კრიზისს განიცდის და ყელამდე ვალებშია ჩაფლული. ნაწილობრივ გამოსავალი თავად ფეხბურთელებმა იპოვეს: ძირითადი შემადგენლობის ყველა მოთამაშემ კლუბის ხელმძღვანელობას მიმართა განცხადებით, რომ 1991-92 წლების სეზონში მათთვის ხელფასი მოეკლოთ და ამგვარად დაზოგილი ფული გუნდის სალაროში შეეტანათ. ასეთმა ჟესტმა მეტად ააღელვა „კუტკალიების“ გულშემატკივრები, რომლებმაც ასევე გადაწყვიტეს თავიანთ საყვარელ გუნდს დახმარების ხელი გაუწოდონ.

„ოუტ-მოტორი“

ᲘᲚᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲙᲘ ᲓᲐ... ᲨᲕᲘᲔᲠᲘ ᲖᲕᲘᲒᲔᲜᲘ

კინალამ საბედისწერო აღმოჩნდა გაზაფხულის ის შშვენიერი დილა ვინდსერფინგის ავსტრალიელი მოყვარულის მარკ ფლემინგისთვის. ბრისბენის ერთ-ერთ პლაჟს რომ უახლოვდებოდა, მას ზვიგენი დაესხა თავს. მარკმა შეძლო მოხერხებული მანევრით გასხლტომოდა ზღვის მტაცებელს, მაგრამ შოკი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ საჭირო გახდა ექიმების ჩარევა. ძნელი სათქმელია, თავს დაანებებენ თუ არა ფლემინგი და მისი ცოლი ვინდსერფინგს, ის კი აშკარაა, რომ ფიცრის გამოცვლა ნამდვილად მოუწევთ.

ᲗᲣ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲔᲑᲡ ᲛᲘᲣᲬᲕᲓᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘᲐ 66441

1 თვე — 1 მან. 73 კაპ. 3 თვე — 5 მან. 19 კაპ.
6 თვე — 10 მან. 32 კაპ. 12 თვე — 20 მან. 76 კაპ.

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ!

ᲐᲥᲔᲗᲣᲠᲘ, ᲘᲥᲘᲗᲣᲠᲘ...

სახელგანთქმულმა გერმანელმა მეკარეტენი შუმახერმა, რომელიც [illegible] წელს განთავლობაში კლუბ „კარლსრუეს“ [illegible] ის ნაკრების შემადგენლობაში, ბოლო წლებში კი თურქეთის „ფენერბაჰჩეში“ (სტამბოლი) თამაშობდა, განაცხადა რომ ფეხბურთს ეთხოვება. მისი სპორტული კარიერის ბოლო ორი შეხვედრა საქველმოქმედო იქნება. შუმახერი „ფენერბაჰჩეს“ შემადგენლობაში მადრიდის „ატლეტიკოს“ და მშობლიური „კიოლნის“ წინააღმდეგ გამოვა.

■ ■ ■

გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა ვილი დაუმემსოკ-ში შეიტანა წინადადება დოპინგ-პრეპარატების წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრების თაობაზე. კერძოდ მან განაცხადა, რომ ოლიმპიადებზე უნდა დაუშვან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც თამაშებამდე ექვსი თვის განთავლობაში რეგულარულად გადიოდნენ შესაბამის კონტროლს. სოკ-ის პრეზიდენტმა ეს იდეა მოიწონა და განაცხადა, რომ ვილი დაუმეს წინადადებას სექტემბერში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე განიხილავენ.

■ ■ ■

ჩრდილოეთ ამერიკის პროფესიული ჰოკეის ლიგის მსჯავრს, ახალი სეზონიდან მოემსახურებათ ვიდეოკამერები, რომელთა მეშვეობით დაფიქსირდება ყველა საგოლე მომენტი. არბიტრები შეძლებენ ოპერატიულად შეამოწმონ ყველა სადავო საკითხი. აქამდე მხოლოდ სიდიდით მეორე სპორტული გაერთიანება — ეროვნული სფეხბურთო ლიგა — აძლევდა მსჯავრს ელექტრონულ თანაშემწეებთან მუშაობის უფლებას.

■ ■ ■

ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში მარია ფილატოვა მიწვეულია გერმანიის ნაკრების მწვრთნელად. მან გუნდი უნდა მოამზადოს მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც 6 სექტემბერს ამერიკის ქალაქ ინდიანაპოლისში გაიმართება. კონტრაქტში აღნიშნულია, რომ წამატებული მუშაობის შემთხვევაში საბჭოთა სპეციალისტი მუშაობას ბარსელონის ოლიმპიადის დამთავრებამდე განაგრძობს.

■ ■ ■

ბარსელონაში მოკრივეთა ტურნირის მონაწილეთა რაოდენობას სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაცია განსაზღვრავს. ასოციაციის სურვილია, რინგზე სუსტი სპორტსმენები არ მოხვდნენ და თავიდან აიცილონ მძიმე ტრავმები. ამისათვის შემოიღეს შეზღუდვები. ათ წონით კატეგორიაში გამოვა 32-32 სპორტსმენი, მძიმე წონაში 24, ზემძიმეში — 20. ამგვარად ოლიმპიადა-88-სთან შედარებით, ბარსელონაში მოკრივეთა ტურნირში 441-ის ნაცვლად 364 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. შერჩევათა ბოლო ვადაა 1992 წლის 15 აპრილი.

■ ■ ■

იტალიის ფარმაცევტული ფირმა „სინტოფარმი“ გახდა ცნობილი ბულგარული კლუბის, სოფიის ცსკა-ს სპონსორი. კლუბის პრეზიდენტმა ვალენტინ ვიხოვმა და „სანტოფარმის“ შეფმა მირკო ბენატომ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

■ ■ ■

აშშ-ს ჩოგბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ნახევარფინალური შეხვედრა დევისის თასზე ამ ქვეყნისა და გერმანიის ნაკრებ გუნდებს შორის 20-22 სექტემბერს კანზასსიტიში ჩატარდება. ამერიკელმა ჩოგბურთელებმა, როგორც მასპინძლებმა აირჩიეს კორტი წითელქვიშიანი საფარით.

ᲐᲥᲔᲗᲣᲠᲘ, ᲘᲥᲘᲗᲣᲠᲘ...

„ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ“

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ
ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ
ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66441

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.
ტელეფონი: 33-39-93.

გაზეთი აწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ᲪᲡᲥ გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ.
სარედაქციო კოლეგია: ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ (რედაქტორის მოადგილე), ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲝᲠᲭᲘᲐ (პასუხისმგებელი მდივანი), ᲨᲐᲚᲕᲐ ᲨᲐᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
კომერციული დირექტორი ᲨᲝᲗᲐ ᲯᲣᲚᲣᲮᲐᲫᲔ.